სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/231

ქ. თბილისი 27 09 2019 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-58 მუხლებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა დანართი N1 შესაბამისად;
2. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესი შესაბამისად, დაევალოს კანცელარიას;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი N1

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2019

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა 2019-2025

დამტკიცებულია

რექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის №01-09-10/231 ბრძანებით

დამტკიცებულია ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია. ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

რედაქტირების გვერდი

N	თარიღი	ცვლილების შინაარსი	ცვლილების ავტორ(ებ)ი

სარჩევი

1. შესავალი----------5

2. რისკების შეფასება ----------8

3. რისკების პრევენციის და მართვის გეგმა----------14

4. დანართი 1----------24

5. დანართი2----------25

6. დანართი3----------26

თავი1
შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების განუყოფელ ნაწილს და მნიშნველოვანია უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

უნივერსიტეტი პერმანენტულად ახორციელებს არსებული პროცესების შესწავლას, გაანალიზებას და განვითარებას სტუდენტებისთვის, პერსონალისთვის და სტუმრებისთვის უსაფრთხო და მდგრადი გარემოს შეთავაზების მიზნით.

გეგმა უზრუნველყოფს ტექნიკური (ქსელი, მონაცემთა ბაზები, ინტერნეტი და კომუნიკაციის სხვა ტექნოლოგიები, სხვა), და ორგანიზაციული პროცესების გამართული მუშაობის და ხელმისაწვდომობის დაგეგმარებას, კრიზისული სიტუაციების პრევენციას და დადგომის შემთხვევაში მართვას. ასევე, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს პროცესების განვითარებისას არსებული პროცესების ოპერირებას და უმტკივნეულოდ ცვლილებების დანერგვას.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან გამომდინარე, მოხდება ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის პერიოდული განახლება. გეგმის შემუშავება/განახლების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. არსებული პროცესების აღწერა
2. არსებულ პროცესებში დაგეგმილი ცვლილებების აღწერა
3. განსაკუთრებულად სენსიტიური (მგრძნობიარე) პროცესების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების განსაზღვრა
4. პოტენციური საფრთხეების განსაზღვრა
5. პრევენციული ქმედებების აღწერა, ანუ როგორ უნდა შემცირდეს აღწერილი პროცესების შეჩერების ალბათობა
6. საფრთხის შემთხვევაში პროცესების მართვის ალგორითმის ჩამოყალიბება, ანუ როგორ უნდა მოხდეს პროცესების აღდგენა მინიმალური დანაკარგით
7. ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და ცვლილებებზე/შედეგებზე კომუნიკაციის სქემის ჩამოყალიბება

8. ტრენინგები პასუხისმგებელი პირების ჩართულობით
9. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული სიტუაციების იმიტირება ტესტირების მიზნით და გეგმის განახლება საჭიროების შემთხვევაში

არსებული და დაგეგმილი პროცესების აღწერის ძირითადი მიზეზი - ამ პროცესების კრიტიკულობის განსაზღვრაა. ანუ, პროცესეის გაჩერების შემთხვევაში, ზეგავლენის მოცულობის და პოტენციური შედეგების ანალიზი.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებისას აუცილებელია შემდეგი კომპონენტების გათვალისწინება:

1. ორგანიზაციის სპეციფიკა :
   უნივერსიტეტის სამუშაო საათები 9:00 – 22:00;
   ადმინისტრაციული და დამხამრე თანამშრომელთა რაოდენობა - 2463;
   პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა - 1647;
   სტუდენტების რაოდენობა (აქტიური სტატუსის მქონე) - 22700;
   ფაკულტეტების რაოდენობა - 12;
   პროგრამების რაოდენობა (აკადემიური, პროფესიული) – 193 (მ.შ. პროფესიული საგანმანათლებლო - 26 ;
   შენობების რაოდენობა - 23 (მ.შ. სასწავლო 11 ერთეული);
2. უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_1.pdf.
3. უნივერსიტეტში არსებული ტექნოლოგიების და ინფორმაციული სიტემები:
   ტექნიკური აღჭურვილობის განვითარების ტენდენცია - 2018 წელს ტექნიკურ აღჭურვილობაზე გახარჯული თანხა - 6877277 ლარი

კრიტიკულობის თვალსაზრისით, უნივერსიტეტის პროცესები შესაძლებელია დავყოთ სამ კატეგორიად:

- **უსაფრთხოების პროცესები** - ანუ სტუდენტებისთვის, პერსონალისთვის და სტუმრებისთვის უსაფრთხო გარემოს განმაპირობებელი პროცესები (ესენია სახანძრო სისტემის გამართულობა, შრომის უსაფრთხოების წესები, სამედიცინო დახმარების პროცესები, ლიფტების ოპერირების უსაფრთხოების პროცესები, ლაბორატორიებში უსაფრთხოების დაცვის წესები, სხვა);

- **ძირითადი საქმიანობის პროცესები** - ანუ ყველა ის საქმიანობა, რომელიც განსაზღვრავს სწავლა/სწავლების და კვლევის პროცესებს (ესენია პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესები, ბიბლიოთეკა, უწყვეტი განათლება, გაცვლითი პროგრამები, აკადემიური მისიის შესაბამისი სხვა ღონისძიებები);
- **დამხმარე პროცესები** - აქ გაერთანებულია ყველა ის პროცესი, რომელის ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის უწყვეტად შესრულებას (ადამიანური რესურსების მართვის; განყოფილების პროცესები, ბუღალტერია, პიარი, ინტერნაციონალიზაციის პროცესები, სხვა);
- **განვითარების პროცესები** - აქ გაერთანებულია პროექტების მართვის მეთოდები, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია და სხვა აქტივობები, რომლის მიზანია არსებული პროცესების გაუმჯობესება, ხარვეზების ამოფხვრა და ძირითადი საქმიანობის განვითარება

ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია ძირითად რისკების იდენტიფიცირებისას.

თავი 2.

რისკების შეფასება

რისკების შეფასების მიზანია განისაზღვროს ის საფრთხეები, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს უნივერსიტეტის საქმიანობაზე. აუცილებელია შეფასდეს მოვლენის ალბათობა და უარყოფითი გავლენის სიმძიმე.

უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა განიხილავს ორ მიდგომას რისკების მართვისას. ესენია:

- ☐ პრევენცია - შეფერხების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები
- ☐ რისკის განხორციელების დროს შესასრულებელი ქმედებების ალგორითმის შემუშავება და შესრულების მზაობა, რათა მინიმალური დანახარჯებით აღდგეს უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესი

გაანალიზების შედეგად პოტენციურად დაფიქსირებული ბიზნეს პროცესების რისკები შემდეგია:

<u>ფინანსური და სამართლებრივი ხასიათის</u>

- ☐ ჯარიმები
- ☐ სამართლებრივი დავები
- ☐ ხელშეკრულებების პირობების არ შესრულება / დარღვევა /შეწყვეტა ვადამდე
- ☐ გადასახადების გაზრდა, დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცილება
- ☐ გაუთვალისწინებელი ხარჯების გაზრდა, დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცილება
- ☐ ინვენტარის გეგმიური განახლების ხარჯების გაზრდა
- ☐ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ხარჯების გაზრდა
- ☐ ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ცვლილებები

<u>დაკავშირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და კომუნიკაციის არხებთან</u>

- ☐ კომპიუტერების, პროექტორების და სხვა ტექნიკის ნაკლებობა

- ინტერნეტის და სატელეფონო ხაზების სერვისის ხარისხის შემცირება ან შეწყვეტა
- ელექტრონული მონაცემების დაკარგვა
- ელექტრონული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენება
- მობილური აპლიკაციის მუშაობის ხარისხის შემცირება ან გათიშვა
- ვებ გვერდის ხელმისაწვდომობის ვერ შენარჩუნება
- ინფორმაციის აქტუალურობა ვებ გვერდზე - ინფორმაციის დროული არ განახლება
- ელექტრონული ბიბლიოთეკაზე წვდომის დაკარგვა
- ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების გათიშვა ან შეფერხება
- კიბერშეტევა, არასანქცირებული ('ხაკერული') შეღწევა ინფორმაციულ სისტემაში
- ინფორმაციული სისტემების განახლებისას ან ცვლილებების განხორციელების შედეგად, ურთიერთ დაკავშირებული სისტემების მუშაობის შეფერხება
- ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა

<u>დაკავშირებული ოპერაციულ საქმიანობასთან</u>

- აღჭურვილობების, სასწავლო ლაბორატორიული მარაგების, კვლევითი ნიმუშების დაკარგვა/დაზიანება
- შენობების/სასწავლო ოთახების დაზიანება
- უამინდობით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული სასწავლო/სამეცნიერო ინფრასტრუქტურის დაზიანებები
- მასშტაბური საზოგადოებრივი არეულობის შედეგად ოპერირების შეზღუდვა ან შეჩერება
- ხანძარი
- დასაქმებულთა არყოფნით (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო) გამოწვეული ოპერირების შეჩერება
- კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდიცირება, წყალი)

- ლიფტების დაზიანება
- უსაფრთხოების და სიგნალიზაციის სისტემების და პროცესების შეფერხება
- ავტორიზაციის/აკრედიტაციის დაკარგვა
- ნებართვების დაკარგვა
- მკვეთრად შემცირებული ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი
- სასწავლო პროგრამების ცვლილებების საჭიროება
- ნეგატიური სოც. მედია და მას. მედია გამუქებებით/სტატიებით გამოწვეული შეფერხებები
- სტრატეგიული განვითარების გეგმის ვერ შესრულება დაგეგმილი დროისა და ბიუჯეტის შესაბამისად

რისკების შეფასების ცხრილი

<u>ფინანსური და სამართლებრივი ხასიათის რისკები</u>

რისკი	ალბათობა	გავლენა
ჯარიმები	დაბალი	საშუალო
სამართლებრივი დავები	დაბალი	საშუალო
ხელშეკრულებების პირობების არ შესრულება / დარღვევა /შეწყვეტა ვადამდე	დაბალი	საშუალო
გადასახადების გაზრდა, დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცილება	საშუალო	მაღალი
გაუთვალისწინებელი ხარჯების გაზრდა, დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცილება	დაბალი	საშუალო
ინვენტარის გეგმიური განახლების ხარჯების გაზრდა	დაბალი	საშუალო
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის	საშუალო	საშუალო

სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ხარჯების გაზრდა		
ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ცვლილებები	საშუალო	საშუალო

<u>ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და კომუნიკაციის არხებთან დაკავშირებული რისკები</u>

რისკი	ალბათობა	გავლენა
კომპიუტერების, პროექტორების და სხვა ტექნიკის ნაკლებობა	დაბალი	დაბალი
ინტერნეტის და სატელეფონო ხაზების სერვისის ხარისხის შემცირება ან შეწყვეტა	საშუალო	დაბალი
ელექტრონული მონაცემების დაკარგვა	დაბალი	მაღალი
ელექტრონული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენება	დაბალი	საშუალო
მობილური აპლიკაციის მუშაობის ხარისხის შემცირება ან გათიშვა	საშუალო	დაბალი
ვებ გვერდის ხელმისაწვდომობის ვერ შენარჩუნება	საშუალო	დაბალი
ინფორმაციის აქტუალურობა ვებ გვერდზე - ინფორმაციის დროული არ განახლება	დაბალი	დაბალი
ელექტრონული ბიბლიოთეკაზე წვდომის დაკარგვა	საშუალო	საშუალო
ინფორმაციული	დაბალი	მაღალი

უსაფრთხოების სისტემების გათიშვა ან შეფერხება		
კიბერშეტევა, არასანქცირებული ('ხაკერული') შეღწევა ინფორმაციულ სისტემაში	დაბალი	მაღალი
ინფორმაციული სისტემების განახლებისას ან ცვლილებების განხორციელების შედეგად, ურთიერთ დაკავშირებული სისტემების მუშაობის შეფერხება	დაბალი	საშუალო
ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა	დაბალი	საშუალო

<u>ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები</u>

რისკი	ალბათობა	გავლენა
აღჭურვილობების, სასწავლო ლაბორატორიული მარაგების, კვლევითი ნიმუშების დაკარგვა/დაზიანება	საშუალო	საშუალო
შენობების/სასწავლო ოთახების დაზიანება	დაბალი	მაღალი
უამინდობით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული სასწავლო/სამეცნიერო ინფრასტრუქტურის დაზიანებები	დაბალი	მაღალი
მასშტაბური საზოგადოებრივი არეულობის შედეგად ოპერირების შეზღუდვა ან	დაბალი	საშუალო

შეჩერება		
ხანძარი	დაბალი	მაღალი
დასაქმებულთა არყოფნით (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო) გამოწვეული ოპერირების შეჩერება	საშუალო	საშუალო
კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდიცირება, წყალი)	საშუალო	საშუალო
ლიფტების დაზიანება	მაღალი	საშუალო
უსაფრთხოების და სიგნალიზაციის სისტემების და პროცესების შეფერხება	საშუალოს	საშუალო
ავტორიზაციის/აკრედიტაციის დაკარგვა	დაბალი	მაღალი
ნებართვების დაკარგვა	დაბალი	საშუალო
მკვეთრად შემცირებული ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი	დაბალი	დაბალი
სასწავლო პროგრამების ცვლილებების საჭიროება	დაბალი	მაღალი
ნეგატიური სოც. მედია და მას. მედია გამუქებებით/სტატიებით გამოწვეული შეფერხებები	საშუალო	დაბალი
სტრატეგიული განვითარების გეგმის ვერ შესრულება დაგეგმილი დროისა და ბიუჯეტის შესაბამისად	დაბალი	მაღალი

თავი 3

რისკების პრევენციის და მართვის გეგმა

<u>ფინანსური და სამართლებრივი ხასიათის რისკები</u>

რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება
ჯარიმები	- შესრულებული სამუშაოებოს ორმაგი კონტროლი - შესარულებული სამუშაოების შალედური შემოწმება/ჩაბარება -პროექტების მართვის აპრობირებული პრაქტიკების დანერგვა -საგადასახადო სისტემის და შესაბამისი ცვლილებების დროული ადაპტაციის მექანიზმების დანერგვა -წინა გამოცდილების გაანალიზება და დასკვნების შესაბამისად ქმედებების განხორციელება	ადმინისტრაციული - 3 დღე; გადასახადები - 1 კვირა; სხვა - 3 თვე;	ბუღალტერია, იურიდიული სამსახური	დამატებითი რესურსების მოძიება
სამართლებრივი დავები	- ხელშეკრულებების შესაბამისად გათვალისწინებული პირობების ზედმიწევნით შესრულება და კონტროლი -იურიდიული სამსახურის კონსულტაცია და ჩართულობა ყველა	1 თვე	იურიდიული სამსახური, ბუღალტერია, რექტორი	შესაბამისი რესურსების ჩართულობა და სათანადო რეაგირება

	ახალი პროდუქტის და სერვისის შემუშავებისას იურიდიული სამსახურის მიერ რეკომენდაციების შესრულება -კანონმდებლობის ცვლილებების დროული ადაპტაცია			
ხელშეკრულებების პირობების არ შესრულება / დარღვევა /შეწყვეტა ვადამდე	- ხელშეკრულებების შესაბამისად გათვალისწინებული პირობების ზედმიწევნით შესრულება და კონტროლი -იურიდიული სამსახურის კონსულტაცია და ჩართულობა ყველა ახალი პროდუქტის და სერვისის შემუშავებისას იურიდიული სამსახურის მიერ რეკომენდაციების შესრულება -მაღალი და საშალო პრიორიტეტის სერვისებისთვის დამატებითი/ალტერნატიული სერვისის მომწოდებლების სიის არსებობა და პერიოდული განახლება	1 თვე	იურიდიული სამსახური, ხელშეკრულების ხელმომწერი პირი	შესაბამისი რესურსების ჩართულობა და სათანადო რეაგირება; ალტერნატივების ამოქმედება;
გადასახადების გაზრდა, დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცილება	-საგადასახადო მოთხოვნების და შესაბამისი ცვლილებების მონიტორინგი და ადაპტაცია დაგეგმილი/შესრულებული ბიუჯეტის ყოველთვიური მონიტორინგი და შესაბამისი	1 თვე	ბუღალტერია, იურიდიული სამსახური	- ბიუჯეტის განახლება - დამატებითი სახსრების მოძიება - გეგმიური ხარჯების

	პროგნოზი/რეკომენდაციების გაცემა			შემცირება - რეზერვის გამოყენება
გაუთვალისწინებელი ხარჯების გაზრდა, დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცილება	-მიმდინარე პროექტების მონიტორინგი -ბიუჯეტის მიმდინარე მდგომარეობის ყოველთვიური კონტროლი -დეპარტამენტებთან პერმანენტული კომუნიკაცია	1 თვე	ბუღალტერია, დეპარტამენტების ხელმძღვანელები	- ბიუჯეტის განახლება - დამატებითი სახსრების მოძიება - გეგმიური ხარჯების შემცირება - რეზერვის გამოყენება
ინვენტარის გეგმიური განახლების ხარჯების გაზრდა	-საბაზრო ფასების პერიოდული მონიტორინგი და ბიუჯეტის ადაპტაცია -ინვენტარის საჭიროებების შესახებ დროული კომუნიკაცია	3 თვე	ბუღალტერია, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, შესყიდვების სამსახური	- ბიუჯეტის განახლება - დამატებითი სახსრების მოძიება - გეგმიური ხარჯების შემცირება - რეზერვის გამოყენება
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ხარჯების გაზრდა	-სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გათვალისწინება ბიუჯეტის შედგენისას და განახლებისას -მიმდინარე პროექტების მდგომარეობის გათვალისწინება ბიუჯეტის განახლებისას - გაუთვალისწინებელი ცვლილებების მონიტორინგი და ბიუჯეტის	3 თვე	ბუღალტერია, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, შესყიდვების სამსახური	- ბიუჯეტის განახლება - დამატებითი სახსრების მოძიება - გეგმიური ხარჯების შემცირება - რეზერვის გამოყენება

	ადაპტაცია			
ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ცვლილებები	-სავალუტო კურსთან დაკავშირებული ხარჯების მონიტორინგი და ბიუჯეტის შესაბამისი განახლება	3 თვე	ბუღალტერია, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, შესყიდვების სამსახური	- ბიუჯეტის განახლება - დამატებითი სახსრების მოძიება - გეგმიური ხარჯების შემცირება - რეზერვის გამოყენება

<u>ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და კომუნიკაციის არხებთან დაკავშირებული რისკები</u>

რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება
კომპიუტერების, პროექტორების და სხვა ტექნიკის ნაკლებობა	- დაზიანებული ტექნიკის ყოველკვარტლური აღრიცხვა -ტექნიკის საჭიროებების განსაზღვრა სტრატეგიული და საოპერაციო ამოცანების შესაბამისად -ბიუჯეტის დაგეგმარებისას ტექნიკის საჭიროებების გათვალისწინება -საგარანტიო მომსახურების კომპონენტის გაძლიერება	3 თვე	აიტი სამსახური, შესყიდვების სამსახური, დეპარტამენტების უფროსები	-სარეზერვო ტექნიკის გამოყენება - ადმინისტრაციული საჭიროებებისთვის განკუთვნილი ტექნიკის რედისლოკაცია პრიორიტეტების შესაბამისად -რიგგარეშე შესყიდვები -სარემონტო და საგარანტიო სამუშაოების ჩატარება-
ინტერნეტის და	-SLA	1 დღე	აიტი	-სერვისის

სატელეფონო ხაზების სერვისის ხარისხის შემცირება ან შეწყვეტა	პროვაიდერებთან -სერვისის ალტერნატიული წყაროს არსებობა სერვისის შემოწმების გეგმიური ჩატარება		დეპარტამენტი, შესყიდვების სამსახური, იურიდიული სამსახური	ალტერნატიულ წყაროზე გადართვა შეფერხების აღმოფხვრის პერიოდში -კომუნიკაცია მომხმარებლებთან შეფერხების თაობაზე
ელექტრონული მონაცემების დაკარგვა	-ბეკაპების შექმნა -მნიშვნელოვანი ინფორმაციის დუბლირება დამოუკიდებელ სერვერზე	1 კვირა	აიტი დეპარტამენტი, სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი	-ბეკაპზე გადართვა -პრობლემის იდენტიფიკაცია და მოგვარება -დაბრუნება ძირითად სერვერზე
ელექტრონული მონაცემების კოპირება და არამიზნობრივად გამოყენება	-უფლებების მართვის სისტემის დანერგვა -წვდომების მონიტორინგი -ინფორმაციის კოპირების შეზღდვა - თანამშრომლებთან კომუნიკაცია ინფორმაციის დაცვის თაობაზე	1 კვირა	აიტი დეპარტამენტი, უსაფრთხოების სამსახური, ფინანსური დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი	-კოპირებული ინფორმაციის სენსიტიურობის დადგენა -პოტენციური ზარალის დადგენა და სამოქმედო გეგმის შედგენა -უსაფრთხოების და იურიდიული მექანიზმების ამოქმედება
მობილური აპლიკაციის მუშაობის ხარისხის შემცირება ან გათიშვა	-პრობლემების მონიტორინგის სისტემის და პროცესების დანერგვა -სისტემის გამართულობის შემოწმების გეგმიური ჩატარება -ცვლილებების ჩატარება სისტემაში მხოლოდ დადგენილი და შეთანხმებული გრაფიკით	3 დღე	აიტი დეპარტამენტი	-ტექნიკური ხარვეზის დადგენა - მომხმარებლებთან კომუნიკაცია - ხარვეზის გასწორება, ტესტირება -დაკვირვების პროცესი და შემდგომი კომუნიკაცი -გამოცდილების დოკუმენტირება
ვებ გვერდის ხელმისაწვდომობის	-პრობლემების მონიტორინგის	1 დღე	აიტი დეპარტამენტი	-ტექნიკური ხარვეზის

ვერ შენარჩუნება	სისტემის და პროცესების დანერგვა -სისტემის გამართულობის შემოწმების გეგმიური ჩატარება -ცვლილებების ჩატარება სისტემაში მხოლოდ დადგენილი და შეთანხმებული გრაფიკით			დადგენა - მომხმარებლებთან კომუნიკაცია - ხარვეზის გასწორება, ტესტირება -დაკვირვების პროცესი და შემდგომი კომუნიკაცი -გამოცდილების დოკუმენტირება
ინფორმაციის აქტუალურობა ვებ გვერდზე - ინფორმაციის დროული არ განახლება	-ინფორმაციის განახლების პროცედურის შემუშავება და ამ პროცედურის გაცნობა ყველა დაინტერესებულ მხარისთვის -ინფორმაციაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტების განსაზღვრა (ინფორმაციის კატეგორიის შესაბამისად) -ინფორმაციის აქტუალურობის პერმანენტული შემოწმება	3 დღე	აიტი დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	-ინფორმაციის კატეგორიის შესაბამისად პასუხისმგებელ დეპარტამენტთან ერთად აქტუალური ინფორმაციის დადგენა და განახლება
ელექტრონული ბიბლიოთეკაზე წვდომის დაკარგვა	-სისტემის გამართულობის შემოწმების გეგმიური ჩატარება	1 დღე	აიტი დეპარტამენტი, ბიბლიოთეკის დირექტორი	-წვდომის დაკარგვის მიზეზების დადგენა -პრობლემის გადაჭრა, საჭიროების შემთხვევაში დამატებით რესურსების ჩართვა
ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების გათიშვა ან შეფერხება	-სისტემის გამართულობის შემოწმების გეგმიური ჩატარება -აპრობირებული	1 დღე	აიტი დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი	გატიშვის შემთხვევაში სამოქმედო გეგმის ამუშავება

	პრაქტიკების გამოყენება -ბეკაპური გადაწყვეტილების არსებობა			
კიბერშეტევა, არასანქცირებული ('ხაკერული') შეღწევა ინფორმაციულ სისტემაში	Firewall, მონიტორინგი., ანტივირუსული აპლიკაციები, LAN შეზღუდვა, ასლების შენახვა	2 საათი	აიტი დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი	შესაბამისი სამოქმედო გეგმის ამუშავება
ინფორმაციული სისტემების განახლებისას ან ცვლილებების განხორციელების შედეგად, ურთიერთ დაკავშირებული სისტემების მუშაობის შეფერხება	-ტესტირების პროცედურის და პროცესის არსებობა და ამ პროცედურის დაცვა -ინფორმაციული სისტემების განახლება წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად -ბეკაპის არსებობა -სენსიტიური ცვლილებებისთვის roll back შესაძლებლობა	1 დღე	აიტი დეპარტამენტი	- roll back -დამატებით ტესტირება განხორციელების გეგმის შემუშავება
ძირითადი მასალების ჩანაწერების განადგურება/მოძიების შეუძლებლობა	-მონაცემების დუბლირება	3 დღე	აიტი დეპარტამენტი	-დუბლირებული მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა -პრობლემის იდენტიფიკაცია და აღმოფხვრა წვდომის აღდგენა

ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

რისკი	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება
აღჭურვილობების, სასწავლო ლაბორატორიული მარაგების, კვლევითი ნიმუშების დაკარგვა/დაზიანება	-მარაგების აღრიცხვა შენახვის პროცედურის შემუშავება - თანამშრომლების თვის ტრენინგის ჩატარება	3 კვირა	შესყიდვების დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი, ნიმუშზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი	-მარაგების შევსება -პრობლემის ანალიზი და გათვალისწინება
შენობების/სასწავლო ოთახების დაზიანება	-გეგმიური სარემონტო სამუშაოების ჩატარება -მოსალოდნელი დაზიანების ინდიკატორების განსაზღვრა -მონიტორინგი	3 კვირა	შესყიდვების დეპარტამენტი, ინფრასტრუქტურის სამსახური, უსაფრთხოების დეპარტამენტი	-სარემონტო .აღდგენითი სამუშაოების შეფასება, ბიუჯეტის გამოყოფა და დაგეგმვა
უამინდობით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული სასწავლო/სამეცნიერო ინფრასტრუქტურის დაზიანებები	-გეგმიური სარემონტო სამუშაოების ჩატარება -მოსალოდნელი დაზიანების ინდიკატორების განსაზღვრა -მონიტორინგი	3 კვირა	შესყიდვების დეპარტამენტი, ინფრასტრუქტურის სამსახური, უსაფრთხოების დეპარტამენტი	-სარემონტო .აღდგენითი სამუშაოების შეფასება, ბიუჯეტის გამოყოფა და დაგეგმვა
მასშტაბური საზოგადოებრივი არეულობის შედეგად ოპერირების შეზღუდვა ან შეჩერება	-მასმედია საშუალებების მონიტორინგი და გავლენის ანალიზი	3 დღე	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ხარისხის დეპარტამენტი, რექტორი	-კომუნიკაცია თანამშრომლებთან და სტუდენტებთან -სამუშაო გრაფიკის ადაპტირება
ხანძარი	-ხანძრის საწინააღმდეგო სისტემების დანერგვა -ტრენინგები -მონიტორინგი -სტანდარტების	20 წუთი	უსაფრთხოების დეპარტამენტი, ლოჯისტიკის დეპარტამნეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	შესაბამისი გეგმის განხორციელება

	დაცვა			
დასაქმებულთა არყოფნით (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო) გამოწვეული ოპერირების შეჩერება	-გაცდენების განსაზღვრა შესაბამისი პროცედურებით, ამ პროცედურების მკაცრი დაცვა და მონიტორინგი -გაცდენის შემთხვევაში შემცვლელის ფუნქციის გათვალისწინება და შესაბამისი მზაობა	1 საათი	ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, მონიტორინგის სამსახური	-შემცვლელის ფუნქციის ამოქმედება
კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, კონდიცირება, წყალი)	-ხელშეკრულებებით მკაცრად განსაზღვრული პირობები -გეგმიური სამუშაოების გრაფიკის გათვალისწინება და წინასწარი კომუნიკაცია -გენერატორის და სხვა პრევენციის საშუალებების არსებობა -ალტერნატიული სერვისის წყაროები	2 საათი	შესყიდვების დეპარტამენტი, ლოჯისტიკის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი	-ალტერნატიული სერვისის ამოქმედება
ლიფტების დაზიანება	-გეგმიური შემოწმება და განახლება	1 დღე	შესყიდვების დეპარტამენტი, ლოჯისტიკის დეპარტამენტი, უსაფრთხოების დეპარტამენტი	დაზიანებული ლიფტის ბლოკირება -პრობლემის აღმოფხვრა -კომუნიკაცია
უსაფრთხოების და სიგნალიზაციის სისტემების და პროცესების შეფერხება	-გეგმიური შემოწმება და განახლება -ალტერნატიული სერვისის პროვაიდერი	3 საათი	უსაფრთხოების დეპარტამენტი	-ალტერნატივის ამოქმედება - პრობლემის ანალიზი და გათვალისწინება -სერვისის აღდგენა
ავტორიზაციის/აკრედიტაციის დაკარგვა	-არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება,	1-3 თვე	რექტორი, ხარისხის უფროსი,	-სამოქმედო გეგმის შედგენა და ხარვეზების

	ხარვეზების გამოსწორება -განვითარების პროცესის წარმართვა		დეკანატები	აღმოფხვრა -ხელახალი პროცესის ინიცირება
ნებართვების დაკარგვა	ნაკისრი ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულება	1 თვე	რექტორი, ხარისხის უფროსი, იურიდიული დეპარტამენტი	-სამოქმედო გეგმის შედგენა და ხარვეზების აღმოფხვრა
მკვეთრად შემცირებული ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი	-სტრატეგიული გეგმის შესრულება -პროგრამების ხარისხის კონტროლი -შესაბამისი გარე და შიდა კომუნიკაცია	6 თვე	რექტორი, ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანატები,	-შესაბამისი კომუნიკაციის გეგმის შედგენა და განხორციელება -პრობლემის ანალიზი და გათვალისწინება

დანართი 1

ბიზნეს უწყვეტობის გეგმის განახლების მეთოდოლოგია

ბიზნეს უწყვეტობის გეგმის განახლების მიზნით, ყოველწლიურად, რექტორის ბრძანების შესაბამისად, დაინიშნება ჯგუფი, რომლის მიზანია, არსებულ გეგმაში გათვალისწინებული რისკების და შესაბამისი ქმედებების გაანალიზება, ახალი გარემოებების გათვალისწინება და შედეგად გეგმის განახლება.

ჯგუფის შემადგენლობაში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას აიტი დეპარტამენტის წარმომადგენელი, ხარისხის წარმომადგენელი, საფინანსო დეპარტამენტის წარმომადგენელი, და სხვა , გარემოებების შესაბამისად, დეპარტამენტების წარმომადგენლები.

ჯგუფის აქტივობის პერიოდი ასევე განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, და არ აღემატება 3 სამუშაო კვირას.

აქტივობის პერიოდი იყოფა შემდეგ ეტაპებად:

- ჯგუფის შედგენა
- გარემოებებიდან გამომდინარე მთავარი მიზნების განსაზღვრა
- დოკუმენტის ბოლო ვერსიის გაანალიზება
- რეკომენდაციების ჩამოყალიბება
- ახალი გეგმის დამტკიცება

დანართი2

კოორდინატები

ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტის შემთხვევაში (ფიზიკური პირების და ქონების ხელყოფა, დაზიანება, მოპარვა, ხანძარი):

პოლიცია - ტ. 112.

სასწრაფო დახმარება - ტ. 112.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - ტ. 112.

ტექნიკური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტის შემთხვევაში (ხანძარი, კომუნალური მომსახურების შეწყვეტა):

საგანგებო სიტუაციათა სამსახური - ტ.112 ან 241 44 54

სასწრაფო დახმარება - ტ.112.

„თბილისის წყალი“ - ტ. 2 931 111 ან 112.

„თელასი“ - ტ. 2 779 999/3

სანტექ.სერვისი - ტ. 2 454 546, 2 450 210, 597 898 984.

თბილისის მერია - ტ. 2 722 222

ს.ს. ენერგო–პრო ჯორჯია - ტ. (0422) 27 25 51

დანართი 3

ექსტერმალური გავლენის შემთხვევაში მოქმედება გეგმა და პასუხისმგებლობები

1. **შეტყობინება ხანძრის შესახებ**

სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ნომერზე -"112", შეტყობინება დაცვის სამსახურისთვის

პასუხისმგებელი: პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი

2. ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის

პასუხისმგებელი: შესაბამისი შენობის დაცვის მორიგე ჯგუფი

3. ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან

ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით

პასუხისმგებელი: უსაფრთხოების სამსახური

4. ევაკუირებულთა აღრიცხვა ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება ევაკუაციის გეგმის მიხედვით

პასუხისმგებელი: უსაფრთხოების სამსახური

5. ექსტრემალური გარემოებების მინიმიზაცია და ქონების ევაკუაცია

პასუხისმგებელი: უსაფრთხოების სამსახური; ინფრასტრუქტურის სამსახური,

6. თანამშრომლებთან კომუნიკაცია მიმდინარე მდგომარეობის და შემდგომი ქმედებების შესახებ

პასუხისმგებელი: საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი